# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა.—სამშაბათი, 17 ოქტომბერი 1900 წ. № 1270

**გაზეთის ფასი:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. **ფასი** განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წ. გ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).
ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.**
**ტელეფონი № 372.**



ქართული თეატრი

**ხუთშაბათს, 19 ოქტომბერს,**

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **შ ი რ ვ ე ლ ა დ** ლექსად თარგმნილი განდეგილის მიერ

**ვაი ჭკუისაგან**

კომედია 4 მოქმ. ა. ს. გრიბოედოვისა.

მონაწილეობენ: ქალბატონნი გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძისა, მდივანი, გარელი, ალხაზიშვილი და სხვ. ბატონნი: აბაშიძე, მესხი, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, აჯალიანი, ურუშაძე, მირიანოვი და სხვ.

დასაწყისი 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია. რეჟისორი **ვ. გუნია.**

მზადდება წარმოსადგენად „**ანიჩარი**“, ისტ. დრამა; „**დენიზა**“, დრამა **ალ.** დიუმასი და სხვა. (3—1)

ტფილისის კერძო

**სამკურნალო**

**მკურნალის**

**მიხეილ გედევანიშვილისა.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა უქმეების გარდა.

**დ ი ლ ი თ:**

**გ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვების და წამლობა ელექტრონით—9—10 ს.

**ნ. ა. მუღინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათამდე.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი—10—2 საათამდე.

**ა. ნ. მატილოვი**—თვალისა 11—12 საათამდე.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი—12—1 საათამდე.

**მ. გ. ბეზირგანოვი**—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათამდე.

**გ. ლ. მარკევიჩი**—სალოსტაქრო $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათამდე.

**ა. ა. ბელოგოლოვი**—შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტა ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (გარანტოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი (წლ.) **მიხეილ გედევანიშვილი.**


## ახალი ამბავი

✦ 13 ოქტომბერს, **დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის დაბადების დღეს,** ტფილისის მე-2 სავაჟო გიმნაზიაში გადახდილ იქმნა სადღესასწაულო წირვა და პარაკლისი, რომელსაც დაესწრნენ სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მაგიერი შენგერი, გიმნაზიის მასწავლებელნი და მოსწავლენი. მილოცვის დეპეშაზე, გიმნაზიის მმართველთ შემდეგი პასუხი მიიღეს მის უმაღლესობისაგან: „ჩემს სახელობაზე დაარსებულ გიმნაზიის მსახურთა და მოწაფეთ ვუგზავნი გულწრფელ მადლობას მილოცვისათვისა და კეთილის სურვილისათვის. **მიხეილი**“. („კავკაზ“)

✦ **გრაკალთან მომხდარ უბედურებამ** იმსხვერპლა, როგორც მკითხველებმა უკვე იციან, 6 კაცი; ამათგან ორი მგზავრი და არტელშჩიკის დარაჯი სახალხო მატარებელში, ობერ-კონდუქტორი და ორი კონდუქტორი (ბრიგადაში სულ 5 კაცი იყო) საქონლის მატარებლიდან, სახელდობრ:

**მოკლულნი არიან:** ორი ბავშვი 15—16 წლისა, **ბაგრატ სტეფანოვი** და **ნიკოლოზ კერესელიშვილი;** მატარებელში დამსხდარან გრაკალში, მაგრამ უბედურებმა მხოლოდ $1^1/_2$ ვერსი გაიარეს მატარებლით და აქ საზარელმა შემთხვევამ გამოასალმა წუთისოფელს. ბავშვები იპოვეს ვაგონებ ქვეშ ერთმანეთზე მიჭყლეტილები. არტელშჩიკის დარაჯი **ანდრია ბარსუკი,** ობერ-კონდუქტორი საქონლის მატარებლისა № 109 **ალექსანდრე გაბუნია** კიდევ ცოცხალი ამოაძრეს ვაგონების ნანგრევებიდან, მაგრამ მალე გარდაიცვალა. გაბუნია რკინის გზაზე ემსახურებოდა 25 წლამდე, სიკვდილის შემდეგ დარჩა დედა, მამა და ძმა, რომელსაც გარდაცვალებული ქუთაისის გიმნაზიაში ასწავლიდა თავის ხარჯზე; საქონლის მატარებლის კონდუქტორები **იოსებ დეკანოზიძე** და **სამსონ ბერძენიშვილი.**

**დაჭრილნი არიან:** რკინის გზის ლიანდაგზე მოსამსახურენი: სახალხო მატარებლის, № 6, მემანქანე **ბოტტე** (წინადაც ორჯელ ყოფილა დაშავებული მატარებლის გადასვლის დროს, მაგრამ მორჩენილა), საქონლის მატარებლის, № 109, მემანქანე **ანტონ ტატარიკა,** სახალხო მატარებლის მემანქანის თანაშემწე **პავლე კუპჩერენკო,** საქონლის მატარებლის მემანქანის თანაშემწე **კონსტანტინე უთნელიშვილი,** მიხაილოვის დეპოს კონჩეგარი **მიტროფანე ჯანელიძე.** სახალხო მატარებლის გამცილებელი **ალექსანდრე კნიაზევი,** იმავე მატარებლის კონდუქტორი-ფერშალი **ზინოვი მოლკინი,** არტელშჩიკი **გრიგოლ გუშჩინსკი,** იმავე მატარებლის კონდუქტორი **იუმაშევი.**

მგზავრთაგან დაშავებულნი არიან: ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრის ცოლი **ელენე თეოდორეს ასული ჩერნიკი,** გორის მაზრის სოფ. რუისის აზნაური **ზაქარია დეკანოზიშვილი,** ქ. ალექსანდრეპოლის მეცხოვნე რაზმის კაპელმეისტერი **რომან აბრამის ძე ზოგარევსკი,** თავ. მაჩაბლის მოსამსახურე **დარია მაკაშვილი,** ტფილისის მოქალაქე **კონსტანტინე მიხეილის ძე გასიდიევი** და სოფ. ტირძნისის მცხოვრები აზნაური **ზაქარია ალექსანდრეს ძე ძგამე.** ამათ გარდა ბევრია მსუბუქად დაშავებული.

✦ გუშინდელ დღიდან **ამიერკავკასიის რკინის გზების** მიმოსვლის დრო შეიცვალა. ქვევით,—„გამოსადეგ ცნობებში“,—მკითხველი დაინახავს ახლად გაწეს-რიგებულს დროს.

✦ ქუთაისიდან გვწერენ, რომ ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის სამზრუნველო კომიტეტს აზრადა აქვს სკოლის ინსპექტორის ადგილზე კანდიდატად დაასახელოს თავ. **მ. ი. თაქთაქიშვილი,** განჯის გიმნაზიაში მათემატიკის მასწავლებელი.

✦ 22 მომავალ დეკემბერს შესრულდება 30 წელიწადი მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა რუსეთის **გამოჩენილი პედაგოგი კ. დ. უშინსკი.** პეტერბურგის საპედაგოგიო საზოგადოებას გარდაუწყვეტია ამ დღეს საგანგებო კრება მოახდინოს გარდაცვალებულის პედაგოგის მოსაგონებლად.

✦ ფინანსთა სამინისტროში დაარსებულმა განსაკუთრებულმა კომისიამ დაასრულა უკვე თავის მუშაობა ფაბრიკა-ქარხნებში **საექიმო ნაწილის მოწყობის** შესახებ. კომისიის აზრით, ყოველ ცოტათი მოზრდილ ფაბრიკაზე და ქარხანაზე უნდა დაარსდეს ქსენონი, საავადმყოფო მოსიარულე ავადმყოფთათვის წამლების უფასოდ მიცემით და საავადმყოფო მწოლიარე ავადმყოფთათვის; მუშები საავადმყოფოში ფაბრიკის პატრონის სრულს ხარჯზე უნდა იქმნან. გარდა ამისა, იმ ფაბრიკებთან, სადაც ქალები მუშაობენ, ქალთა საავადმყოფო უნდა გაიმართოს და ბებია-ქალი უნდა იქმნას მოწვეული.

✦ ამ მოკლე ხანში ფინანსთა სამინისტროში დაიწყებს მუშაობას კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს საკითხი იმის შესახებ, რომ საფაბრიკო ინსპექციას დაევალოს **სახელოსნოების** ყურის გდებაც.

✦ 11 ოქტომბერს ქალაქ სიღნაღში მოხდა **არჩევნები ქალაქის რწმუნებულებისა.** კენჭი იყარა 38 კაცმა, რომელთაგან აირჩიეს 12 კაცი; ასარჩევი დარჩა 3 რწმუნებული და 3 კანდიდატი, რომელთ არჩევა კვირას, 15 ოქტომბერს, უნდა მომხდარიყო.

✦ 13 ოქტომბერს ტფ. ქალაქის გამგეობამ კენჭი უყარა კანდიდატებს ტფ. 1-ლ და მე-2 საქალებო გიმნაზიებში განთავისუფლებულ **სტიპენდიების დასანიშნავად.** 1-ლ გიმნაზიაში თავისუფალი ორი სტიპენდია იყო, კან-

დიდატი-კი—42; სტიპენდია ხვდათ: მე-3 კლასის მოსწავლეს სოფიო კრივენკოს და 1-ლ კლასისას—ანნა გალუსტოვს. მე 2 გიმნაზიაში სულ 4 სტიპენდია იყო, კანდიდატი-კი — 30; მათგან სტიპენდია ხვდა: მოსამზადებელ კლასის მოსწავლეს ევგენია ტიგრანოვისას, მე-4 კლასის მოსწავლეს—ელისტერ-კირაკიანცს, მე-3 კლასისას—კ. ხაჩატუროვისას და მე-5 კლასისას—ბარბარე მეფისაშვილისას.

✦ ცნობილი დრამატურგის ჰაუპტმანის დრამა „სულით ობოლნი“ გადმოუთარგმნია ბ. ი. გომელაურს და აპირებს გასასინჯათ წარუდგინოს იგი დრამატიულ საზოგადოების გამგეობას. („კვალი“)

✦ როგორც „კვალს“ ატყობინებენ, ქუთაისში ახალი ამხანაგობა სდგება თურმე, რომელსაც აზრად აქვს ხელი მოჰკიდოს მუხის ხეების საზღვარ გარედ გატანას.

✦ ჭიათურიდან იმავე გაზეთს სწერენ: „გემების ფრახტი აწეულია. (ახლა კი კლებულობს); ფოთში შავი-ქვა ღირდა 22—24 კაპ. ფუთი, ახლა ღირს 19—20 კაპ., ახლა ცოტცოტათი იწევს. ჭიათურაში ქვას პლატფორმაზე იღებდნენ 7—8 კაპ. ახლა კი 6—6$^{1}/_{2}$ კ. „სკიდკით“. ვაგონებით მიჰქონდათ 9—10 კაპ., ახლა კი 7—8 კაპ. და ისიც არ მიაქვთ; საზოგადოთ, შესამჩნევი კრიზისია, დამზადებული გასაყიდი ქვა ბევრია, ჭიათურის სადგურთან დევს 40 მილიონი ფუთი, ჭიქაურსა და დარკვეთში 10—15 მილიონი ფ., ზესტაფონში 1—2 მილიონი ფ., ფოთში 5—10 მილიონი, თვით ჭიათურაში დიდი მოძრაობაა, არსდება წვრილ მრეწველთა პატარა კავშირი, რომ სესხიც ადვილად მოიპოვონ, უცხოეთის ბაზარსაც დაუახლოვდენ და სხვა შეღავათებიც შე[...]ძინონ“.

✦ დუშეთის მაზრაში გარდაიცვალა მთავარმართებლის საბჭოს წევრად ნამყოფი ა. ბ. განოგრადოვი.

✦ 20 ოქტომბერს ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია გასარჩევად განჯის გუბერნიის დამრიგებელის გოფმანის საქმე, რომელსაც ჰბრალდება თვისის ცოლის მოკვლა.

✦ სოფ. გულეკარიდან (სენ. მაზრა) გვწერენ, რომ 9 ოქტომბერს, ღამით, გაჩნდა ცეცხლი და დაიწვა გრ. ღიღიას მაღაზია, რომელშიაც ვაჭრობდა თოფურია; ზარალი 1500 მანეთს აღემატება. ცეცხლი და ნავთიანი ქურქელი, რომელიც დუქანში დარჩა, საშიშოდ ხლიდნენ ახლო მდებარე დუქნებს და სასწავლებელსაც, მაგრამ მცხოვრებთა დახმარებამ და ამინდმა ისინი გადაარჩინეს. ბოროტ-გამზრახველნი—ცეცხლის მომკიდებლები აღმოჩნდნენ და უკვე მიცემულნი არიან პასუხის-გებაში. მეორე დღეს სოფელში მოვიდა ადგილობრივი ბოქაული ბ ნი თოფურიძე. გამომძიებელი ჯერ არ მოსულა. საკვირველია, რომ ამ სოფელში ძალიან ხშირია ამისთანა შემთხვევა.

## სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

∝ გათავდება თუ არა ჩინეთის საქმე, ეს არავინ იცის, მაგრამ უეჭველობა ის არის, რომ არავითარი ნამდვილი არავინ იცის იქაური ამბებისა. დღეს რომ ერთი მოდის, ხვალ სრულიად წინააღმდეგს გვატყობინებენ. მგონი, ევროპიელთ ჩინეთის საქმეებმა თუ დღეს არა, ხვალ განკითხვის დღე დააყენონ. იქმნება მაშინ მაინც გაიგოს ევროპამ, რომ თუ კარგია ფლიდობა, ჟლეტა, უსამართლობა და ურცხვობა ერთა შორის დამოკიდებულებაში, ევროპა დღეს იმასვე ჰხედავს ჩინეთის მოქმედებაში, რაც თვით მასჩნია დიპლომატიის სიბრძნედ და გონიერებად, მაგრამ ჩინელთა ამგვარ მოქმედებაში მაინც, რაღაც უჩვეულოსა და ბარბაროსულს ჰხედავს, ისე როგორც გარყვნილი დედაკაცი მზად არის ქვით ჩაჰქოლოს მეორე, მაზე ბევრად უფრო პატიოსანი და ზნეობით აღჭურვილი დედაკაცი.

«ტანა-ი ამბობს, რომ, მართალია, უმეტესი ნაწილი გერმანულ ჟურნალ-გაზეთობისა დღესასწაულობენ, რომ გერმანიისა და საფრანგეთის მთავრობის წინადადებამ თანხმობა ჩამოაგდო ევროპის სახელმწიფოთა შორისაო, მაგრამ ზოგიერთი მათგანი თამამ ურწმუნოსავით გაიძახიან, რომ ჩინეთის სასახლის სიმაღლეზე გადატანა მეტად ამნელებს საქმის გამოწყობასაო. ის ხმაც კი გავრცელდა, რომ გერმანიის გენერალთ შტაბს ვითომ აზრი ჰქონდეს ჩინეთის სასახლეს ჯარი გაუყენოს, რათა იმ ჩინელთა გავლენისაგან დაიცვას, რომელნიც ევროპიელთ ემტერებიან. მაგრამ იგივე გაზეთები ამბობენ, ეს შეუძლებელია, რადგან გერმანიის ჯარს ჩინეთში მეტად სუსტი საშუალებანი აქვთ ხელთ ერთი ადგილიდან მეორეში გადასასვლელადო.

∝ «ტაიმს»-ის კორესპონდენტი მორრისონი იუწყება შემდეგს, გაზეთი «ტანია»-ს სიტყვით: ქვრივ დედოფალს ჰსურდა მთავრობის მსგავსი რაღაც დაარსებინა ტაინ-ფუში, მაგრამ ცდამ ტყუილად ჩაუარა. პეკინის მანდარინები, რომელთაც უწინდელი ადგილები ეჭირათ, დედოფალმა ტაინ-ფუში დაიბარა, მაგრამ ყველამ უარი შეუთვალა,—ზოგმა ვითომ-და ავადმყოფობის გამო, ზოგმა კი გზის სიცუდე მოიგვა მიზეზად.

∝ პოლ-ტინფუზე ამხედრების გადაწყვეტა სიამოვნებით იქმნა მიღებული ევროპაში, თუმც ის კი არ მოსწონთ, რომ სასახლე გაძარცვულია და სინანფუსაკენ მიუშვებს. პაოტინფუზე ამხედრება რუსეთის წარმომადგენელთა აზრის წინააღმდეგ გარდასწყდა.

∝ პეკინიდამ ჯარები თანდათან გამოჰყავთ. იაპონელთა ჯარის რიცხვი საგრძნობლად შემცირდა. «მორნინგ პოსტ»-ი გვატყობინებს, რომ ინგლისელნი რჩებიან საზამთროდ სატახტო ქალაქში.

რაიცა შეეხება ლიხუნ-ჩანგს,—ხან იწერებოდნენ ტიან-ძინიდან მიდისო და ხან იმას, რომ ტიან-ძინშივე რჩებაო. «ტაიმს»-ს თურმე ატყობინებენ შანხაიდან: ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები ამბობენ, რომ ლიხუნ-ჩანგი შეჰპირდა რუსეთს მანჯურიის დათმობას, იმ პირობით კი, რომ მთელი თავისი ჯარი წაიყვანოს ჩინეთიდან და სხვა მთავრობანიც დაარწმუნოს მშვიდობიანობა იქონიონ ჩინეთთან. თუმცა ოფიციალურად არავინ ამართლებს ამ ხმებს, მაგრამ გაზეთი ამასაც დიდ მნიშვნელობას აძლევს, რომ ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებმა გაავრცელეს ასეთი ხმები. ამბობენ, რომ ჰუა-ტაპუ-ტერივანი, დედოფლის მმისწული, ინიშნება პრინცი ტუანის ადგილზე, როგორც უფროსი ცუნგლი-ამენისაო და აგრეთვე იუნ-ლუს მაგივრად ჩინეთის ჯარის გენერალი ასეთ მუსადაო. «დაილი ნიუსი»-ს შანხაელი კორესპონდენტი კი თურმე იუწყება, რომ ტუანის მოადგილენი მისივე მიმართულებისა და აზრის კაცები არიანო. შანხაიში მცხოვრებნი კი იმ აზრის არიან თურმე, რომ ჩინელთ უნდა აღკრძალოს ჩრდილოეთისაკენ ჯარების წასხმა, ანა და სურსათისა და იარაღის გადატანა, ვიდრე იმპერატორი პეკინში არ დაბრუნდებაო.

∝ ვაშინგტონში არა სწამთ, «ტანია»-ს სიტყვით, რომ საფრანგეთის წინადადება სავსებით მიიღოს მთავრობამ, ანა და რამე ისეთ ხელ-შეკრულობაში ჩაერიოს, რომელიც ვალად დაადებს ამერიკას სხვა სახელმწიფოებთან ერთად ნიადაგი საომარი კავშირი იქონიოს. ამერიკელ ჟურნალ-გაზეთობასაც არ განუხილავს დაწვრილებით საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრის დელკასსეს წინადადება, თუმცა მნიშვნელოვნად მიაჩნიათ იგი.

∝ გერმანიის ყველა გაზეთები სიხარულით მიესალმნენ ინგლის-გერმანიის შეთანხმებას. მაგალითად აი რას ამბობს «კოლნიშე ცაიტუნგი»: «ინგლის-გერმანიის შეთანხმების არც ერთ მუხლში არავითარი მოულოდნელი და არც ერთი ისეთი აზრი არ არის, რომელიც არ ყოფილიყოს გამოთქმული ერთხელ მაინც ამ უკანასკნელ თვეებში. იგი «ღია კარების» პოლიტიკას აცხადებს ყველა ერთათვის; იგი შეკრულია ორივე ქვეყნისაგან თავიანთ ინტერესების დასაცველად ჩინეთში იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობაა სხვა სახელმწიფოები მოინდომებენ თავიანთ სამფლობელოების გაფართოვებას ჩინეთის მიწა-წყლით. და რაკი ესევე საფუძველი გამოთქმული იყო ყველა სხვა სახელმწიფოებისაგან უწყებათა დაწყების დროს, ამისათვის უნდა მოველოდნეთ, რომ ყველანი მიემხრობიან ინგლის-გერმანიის შეერთებას, რომელიც მოასწავებს თავისით კეთილ-გონიერ სიფრთხილის ოქმსა და იმავე დროს გამაფრთხილებელ ოქმს იმათთვის, ვისაც ჯერ არს. მეტადრე საგულისხმო ვიცოდეთ, რა თვალით შეხედავს რუსეთი ინგლის-გერმანიის შეთანხმებას».

∝ «კელნიშე ცაიტუნგი» დიდ მნიშვნელობას აძლევს ამ შეთანხმებას: «უკვე რამდენიმე თვეა, რაც გერმანიის დიპლომატიურ წრეებში შიში ჰქონდათ, ვაი თუ მდიდარი, ნაყოფიერი იანძეს ველი უთანხმოებისა და ჩხუბის საგნად გახდეს დაინტერესებულ სახელმწიფოთა შუა. მეტად გასახარია ამიტომ იმის გაგება, რომ მოლაპარაკება გამართული ინგლისთან ამ საგნის გამო ისე მალე და კეთილად დაბოლოვდა. უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ სხვა სახელმწიფოებიც მიუდგებიან ამ შეთანხმებას, რომელსაც მიზნად აქვს დაცვა მშვიდობიანი ეკონომიური ინტერესებისა. ამ შეთანხმებას აქვს აგრეთვე დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც, რადგანაც იგი უკვე მეორედ ამტკიცებს, რომ გერმანიას შეუძლიან იქონიოს ისეთივე კეთილი და მეგობრული განწყობილება ინგლისთან, როგორც მას რუსეთთან აქვს. რუსეთის მთავრობამაც ხომ უფრო ადრე გამოსთქვა ის მოსაზრება, რომ უწესოება ჩინეთში არ იძლევა საკმაო საბუთს მის გასაყოფად.

ამავე მოსაზრებაზედვე დაფუძნებული ინგლის-გერმანიის შეთანხმებაც, რომელიც ამისათვის თანაგრძნობით უნდა მიიღოს ყველა სახელმწიფოებმა და მათ შორის რუსეთმაც.»

∝ სულ სხვა ნაირად შეხედეს ამ შეთანხმებას რუსეთის გაზეთებმა. ზოგიერთი მათგანი სულ არავითარ მნიშვნელობას არ აწერენ მას: ყველაფერი მასში ნათქვამი უკვე წინად იყო გამოთქმული, თითქმის იმავე სიტყვებით, სხვა სახელმწიფოებისა-

განაო. ზოგიერთებმა გამოსთქვეს ის აზრი, რომ რუსეთისათვის ეს ხელშეკრულობა მაგდენად ყურადღების ღირსი არ არისო, რადგანაც მას თავისი განსაკუთრებული საგანი და მიზანი აქვს ჩინეთშიო, დასასრულ, ზოგმა სულაც მტრულის თვალით შეხედა ინგლის-გერმანიის შეთანხმებას; აი რას ამბობს, მაგალითად, გაზეთი «როსსია:» «მესამე მუხლი ამ შეთანხმებისა გვიჩვენებს აშკარად, რომ გერმანიამ შესტოპა ბრიტანიის პოლიტიკის მაგ შუაწყალში, ე. ი. ჩაიდინა ის, რასაც ყველაზედ ძრიელ ერიდებოდა ბისმარკი, ეს «დიდებული ოსტატი გერმანიის სახელმწიფო ხელოვნებისა.» ამას იქით ინგლისსა და გერმანიის შუა შეიკრა კავშირი წინააღმდეგ რუსეთისა, რომელიც უნდა იგულისხმებოდეს იმ «სხვა სახელმწიფოდ», რომელიც ნახსენებია ინგლის-გერმანიის შეთანხმებაში. მართალია, მეოთხე მუხლში ნათქვამია, რომ შეთანხმების შინაარსი ორივე მხარემ უნდა აცნობონ სხვა სახელმწიფოებს, მეტადრე საფრანგეთს, იტალიას, იაპონიას, ავსტრო-უნგრეთს, შეერთებულ შტატებს და რუსეთს და სთხოვონ მათ მიუდგნენ ამ შეთანხმებას.

მაგრამ ეს სრულებით არა სცვლის შეთანხმების რუსეთის საწინააღმდეგო ხასიათს. თუ კი ხელშეკრულობა რუსეთის საწინააღმდეგოდ არ არის დაწერილი, მაშ რისთვის არის საჭირო, და რამ გამოიწვია იგი.

ამ ნაირად პირველივე ნაბიჯი თავისი გრაფმა ბიულოვმა გადადგა რუსეთის სამტროდ. არც თუ გერმანიისათვისაა ის ძალიან ხელსაყრელი. რა ინტერესები აქვს გერმანიას ჩინეთში? სააღებ-მიცემო. და ამ მხრივ გერმანელებისათვის ყველაზედ საშიშარი მოცილეები ხომ ინგლისელები არიან ორივე სახელმწიფოებმა გამოაცხადეს, რომ ისინი იცავენ «ღია კარების» პოლიტიკის საფუძველს. ინგლისი დიდი ხანია, რაც «ღია კარებზე» ლაპარაკობს. მაგრამ საფუძველი სხვაა და აღსრულება მისი საქმით—კიდევ სულ სხვაა: ამ «ღია კარებს» ინგლისელები ჰკეტავენ ისეთის კლიტით, რომელსაც მხოლოდ ინგლისის საიდუმლო გასაღები აღებს:—ამ გასაღებს რომ გერმანელები ხელში ვერ ჩაიგდებენ—ამას ჩიჩინი არ უნდა. ერთის სიტყვით, ბერლინის კაბინეტი ჩიტივით მოჰყვა ინგლისისაგან დაგებულ კაკანათში.

# თეატრი

**თავად-აზნაურთა თეატრი.** ამ თვის 15-ს, როგორც იქმნა, შესდგა წარმოდგენა სათავად-აზნაურო თეატრში. წარმოადგინეს ოტელლო. საზოგადოდ, შექსპირის ტრაგედიების წარმოდგენა თხოულობს ნიჭიერ არტისტებს. მისი ტრაგედიების ყოველი გმირის ხასიათი და ბუნება არტისტმა უნდა შეისწავლოს, შეითვისოს, მის ქერქში ჩაძვრეს, რომ საზოგადოებას დაუხატოს დასურათებული ტიპი; გარდა ამისა, არტისტმა, თუ უნდა გადასცეს საზოგადოებას ავტორის მიერ გამოხატული ტიპი, უნდა შეისწავლოს მისი თხზულებებიდან თვით ავტორისავე შეხედულება. აი ამისათვის არის, რომ ამ როლების ასრულებას კისრულობენ მხოლოდ უნიჭიერესი არტისტები (ჩვენში კი არა), და ყოველი მათგანი ჰხატავს ისე, როგორც თვითონ ჰგრძნობს, როგორც თვითონ შეუსწავლია. ზეგარდმო ნიჭით ცხებული არტისტი, როგორც, მაგალითად, სალვინი, როსი,—თვითონ ჰქმნის ტიპს. ოტელოში როლების სიძნელით პირველი ადგილი უჭირავს ოტელოს, მეორე—იაგოს და მესამე დეზდემონას. ოტელოს როლს თამაშობდა დალსკი. თამაშობდა კარგად, გრძნობით, მოფიქრებით. ყოველი მისი ჟესტი, ყოველი სიტყვა გაზომილი და აწონილი იყო. დალსკის თავისებურად გაუგია ეს როლი. მეოთხე მოქმედებაში დალსკი, ჩვენის აზრით, ცოტა გადაჭარბებულ სიყვარულის გრძნობას იჩენდა. ჩვენა გვგონია, რომ ოტელოს ბუნებას სრულიად არ შეეფერება სრული თავის სიყვარულის ისე გადაცემა, რომ მიემსგავსებოდეს ჩვეულებრივ კაცის სიყვარულს; ოტელლოს ძალიან უყვარდა, მაგრამ მისი მკაცრი ბუნება ვერ გამოჰხატავდა ისე ნაზად იმ სიყვარულს, როგორც ბ-ნმა დალსკიმ გამოხატა. ეს ჩვენი აზრია. აკი ვამბობთ, სხვა-და-სხვანაირად ესმით შექსპირის გმირების ხასიათი და ბუნება. იაგოს როლი ითამაშა რამაზანოვმა. ესეც ძნელი როლია ამ პიესაში. გაქნილი, უზნეო და მასთან გაიძვერა და შურის-მაძიებელის ტიპი უნდა დაეხატა მას, მაგრამ ბ-ნი რამაზანოვი უფრო ფაუსტის მეფისტოფელს ჰბაძავდა და თვალ-წინ ვერ დაგვიხატა შექსპირის იაგო. არტისტს მიმიკა და გრძნობა-თამაში არა ჰქონდა როლის შესაფერი. ქ-ნი ტუმანოვისა დეზდემონას როლში კარგი იყო. კარგი იყო აგრეთვე ბ-ნი ბოროზდინი ბრაბანციოს როლში.

შენიშვნა თეატრის შესახებ. ჭუჭყიანი და ზოგ ადგილას ჭუჭყ-გადაფხეკილი სკამები, გაქონილი ფარდა, რომლის ბოლოს ლურსმებ დაკრული რეიკა დაჰთრევს, ვიწროობა ეს შეეხება თავად-აზნაურთა კომისიას. ეს ჩვეულებრივი დაუდევრობაა და უყურადღებობა. ხოლო დრამატიულ კომიტეტის ბრალია უდრო-უდროოთ გაქრობანთება და შუქების მიყენება. გარდა ამისა, ტანისამოსის შესანახი ადგილი ცოტაა და თვით ტანისამოსის შემნახველთაც უნდა იცოდნენ ნომრები და ცოტა ცოცხალი ხალხი უნდა, ქარი დარბაზში ხომ არ იქმნა, ვერ მოსპეს.

---

**ოპერა.** 14 ოქტომბერს ხანგრძლივ მზადების შემდეგ წარმოადგინეს ოპერა „პროროკი“ (წინასწარმეტყველი), მუსიკა მეიერბერისა. შინაარსი შემდეგია; მოქმედება 1530 წ. სწარმოებს. იოანე ლეიდენელს, რომელსაც სამიკიტნო აქვს, შეუყვარდება თავისივე სოფლის მცხოვრები ქალი ბერტა და მოისურვებს ცოლად შერთვას. ქალიც შეიყვარებს. ერთ დღეს დედა ვაჟისა წავა მინდორზე, სადაც სოფლის ხალხი მუშაობს და სადაც ეგულება ბერტა; ჰნახავს მას და განუცხადებს რა ვაჟის სურვილს, წამოიყვანს თავის სახლში; მაგრამ ქალს ეშინიან, რომ გათხოვების ნებას არ მისცემს მისი ბატონი გრაფი ობერტალი. ვაჟის დედა ფიდესი და ბერტა მიდიან ობერტალთან ნება-რთვის მისაღებად. გზაზედ, გრაფის სასახლის ახლო, შეხვდებიან სამს ანაბაპტისტს დი სოფლის ხალხს, რომელთაც პირველნი აქეზებენ უარჰყონ გრაფისადმი და სხვა მებატონეებისადმი მორჩილება. ამ ხმაურობის მიზეზს და ამბავს შეატყობინებენ გრაფს, რომელიც გამოვა ხალხთან და განურისხდება მათ; ჯარის-კაცთ უბრძანებს მათ განდევნას, რომელნიც ასრულებენ. გრაფი დაინახავს ბერტას და მიუბრუნდება კითხვით.

ბერტა ჯერ ვერა ჰბედავს თხოვნას, მაგრამ ფიდესის მიერ გამხნევებული გამოაცხადებს თავის სურვილს და სთხოვს ნება-რთვას. გრაფს ქალი მოეწონება და გათხოვების ნებას არ აძლევს. ჯარის-კაცთ უბრძანებს მის წაყვანას სასახლეში. გლეხები, ამის მნახველნი, ღელავენ და ხმაურობენ. გრაფი განრისხდება და ჯარს უბრძანებს მათ გარეკვას. გლეხები მირბიან.

სამი ანაბაპტისთთაგანნი მქადაგებელნი და გლეხები წავლენ იოანეს სამიკიტნოში. ანაბაპტისტები ყურადღებას მიაპყრობენ იოანეს, რომელიც ძალიან ჰგავს მათ წინანდელ წინამძღოლს. მქადაგებელთ აზრად მოუვად გამოაცხადონ, რომ იოანე სწორედ ის წინამძღოლი და წინასწარმეტყველია. როდესაც ხალხი სამიკიტნოდან გადის და დარჩებიან მხოლოდ მქადაგებელნი, ესენი წინადადებას აძლევენ მას, იკისროს მათი წინამძღოლობა წინააღმდეგ მძარცავ და მყვლეფავ მებატონეებისა და მმართველებისა. ამ ლაპარაკში აღშფოთებული სამიკიტნოში შევარდება ბერტა, რომელიც გაჰქცევია გრაფს. იოანე დაჰმალავს მას და მისი მდევარნი გრაფი ობერტალითურთ შემოვლენ სამიკიტნოში და მოსთხოვენ ბერტას. მდევართ თან მოჰყავთ იოანეს დედა დაჭერილი. იოანეს ემუქრებიან, რომ თუ ბერტას ბინას არ უჩვენებს—დედას მოჰკლავენ. დედის გადასარჩენად ბერტას უთმობს; ეს გარემოებაც ხელს უწყობს იოანეს დასთანხმდეს მქადაგებელთა წინადადებაზე.

მქადაგებელნი უცხადებენ, რომ რაკი თანხმდება, დედაზედაც უარი უნდა სთქვას. იოანე ჰკისრულობს წინასწარმეტყველის მოვალეობას და მიდის საბრძოლველად. ბრძოლაში იმარჯვებენ და იოანე გამარჯვებულთ შეჰყავთ სასახლის დარბაზში მეფედ დასაგვირგვინებლად. დედა ვერ გაიგებს იმ ამბავს, რომ მისი შვილი წავიდა წინასწარმეტყველად და ჰგონია, რომ მოკლული იქმნა წინასწარმეტყველისაგან. ამ დღესასწაულზედ მოვლენ, სხვათა შორის, დედა იოანესი და ბერტაც, რომელიც პატიოსნებისა და ნამუსის დასაცავად გრაფის ოთახის ფანჯრიდან გადავარდნილა წყალში, ხოლო იქ მეთევზეს გადაურჩენია. ბერტა დაინახავს ფიდესს მათხოვრის ტანისამოსში და იცნობს. ფიდესი უამბობს მისი შვილის მოკვლას. ბერტა აღუთქვამს წინასწარმეტყველის მოკვლას და წავა. დედაც ხალხში შეერევა. მოჰყავთ იოანე და დაავგვირგვინებენ. ამის შემდეგ იოანეს დაინახავს მისი დედა იცნობს; იოანეც იცნობს დედას. მაგრამ მასთან მყოფნი ანაბაპტისტები ემუქრებიან სიკვდილით, თუ გამოამჟღავნებს ამ ამბავს და იოანეც აცხადებს, რომ ფიდესი ჭკუაზე შეშლილია. ფიდესს დაატყვევებენ. იოანეს დასასჯელად იმპერატორი მიადგება ქალაქ მიუნსტერს და ჰგზავნის წერილს, რომ ქალაქს არას ავნებს, თუ იოანეს გასცემენ. ანაბაპტისტები თავიანთ თავის გადასარჩენად თანხმდებიან და უნდათ გასცენ იოანე. დატყვევებულ ფიდესს დაამწყვდევენ იოანეს სასახლის სარდაფში. აქ დედის სანახავად მივა იოანე, მაგრამ დედა გარისხებულია შვილის დაუნდობელ მოქმედებაზედ და გააგდებს თავისაგან. შვილი პატიებას სთხოვს და დედაც ნებას დაჰყვება. ამავე სარდაფში შემოვა ანთებულის კვარით ბერტა სასახლის ასაფეთქებლად, სადაც წინასწარმეტყველია, რადგან ბერტასთვის უთქვამთ, რომ სარდაფში თოფის წამალიაო. რა

დაინახავს ფიდესს და იოანეს— შეკრთება და ემუდარება იქიდან გაქცევას. ამ დროს დარაჯთა უფროსი შემოდის და უცხადებს იოანეს, რომ მისი მოკვლის განზრახვა აქვთ. ბერტა განცვიფრდება, რა გაიგებს, რომ იოანეა წინასწარმეტყველად წოდებული.

ბერტა უარს აცხადებს მისს სიყვარულზედ, სწყევლის მას იმდენ მკვლელობისა და ხალხის შეწუხებისათვის და იქვე თავს იკლავს. იოანე იმედ-გადაწყვეტილი და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი, აპირებს ააფეთქოს მისი გზის ამრევნი. ნადიმია ანაბაპტისტებისა. ამ დროს იოანეს უნდა მათი აფეთქება და გადაწვა. შემოცვივიან სასახლეში გრაფი ობერტალი ჯარის-კაცებით იოანეს შესაპყრობლად. ამ დროს ქვევით იფეთქებს და სასახლეს ცეცხლი წაეკიდება და დაიწვიან შიგ ყველანი იოანეს დედითურთ, რომელიც შვილის გადასარჩენად ავა, ჯარის მოსვლას რომ გაიგებს.

ეს ოპერა როგორც მუსიკის მხრივ, ისე სცენის მოწყობილობით—ძნელი ოპერაა. მომღერლებ-მოთამაშეთა საუკეთესო ძალაა საჭირო. მუსიკა ძნელი და მდიდარია ტეხნიკის მხრივ. მეიერბერს ამ ოპერაში ორკესტრისათვის უფრო მეტი ადგილი მიუცია, ვიდრე მომღერალთათვის. გრაფის ობერტალის პარტია იმღერა გერასიმენკომ ჩვეულებრივ გარგად და გრძნობით. გერასიმენკო თანდათან ცდილობს სავსებით დახატოს მის მიერ ნაკისრი ტიპი. პიკალუგა—იოანეს როლში კარგი იქმნებოდა, რომ ცოტა ხმას არ ეღალატნა. ჯერ კიდევ ავადმყოფობის გავლენა ეტყობა მის ხმას. ფიდესის როლი აასრულა პლატონოვისამ. მაინცა და მაინც მეტი არ მოეთხოვება არტისტკას ამ მძიმე როლის ასრულებაში. საზოგადოდ, როგორლაც პირველად დადგმული ოპერა ყოველთვის მდარედ ჩაივლის ხოლმე, ამისათვის არ შეიძლება ვუსაყვედუროთ ამ წარმოდგენასაც. ბალეტი ძალიან გაჭიანურებულია. ხალხი ბევრი დაესწრო.

---

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**16 ოქტომბერი**

**სოფია.** თავადმა გახსნა საერო კრების სესსია სიტყვით, რომელშიაც გამოაცხადა, რომ ურთი-ერთობა ბოლგარიისა ყველა დიდ მახელმწიფოებთან და მეზობელ ქვეყნებთან ძალიან მეგობრულია.

**ტულუზა.** ვალდეკ-რუსომ წარმოსთქვა აქ ვრცელი პატრიოტული სიტყვა, რომელიც დიდის თანაგრძნობით მიიღეს.

**ოქსფორდი.** მაქს მიულერი გარდაიცვალა.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტოს“ატყობინებენ პაოტინფუდან 7 ოქტომბრის თარიღით' რომ მოკავშირეთა ჯარების რაზმი დღეს მოვიდა; მას აქ დახვდნენ ფრანგები, რომელთაც უკვე დაკავებული ჰქონდათ ქალაქის კარები. გეზლიმ გამართა მოლაპარაკება ადგილობრივ საპროვინციო მოსამართლესთან, რომელიც დასთანხმდა ქალაქის გადაცემას. დღეს გეზლიმ გაიარა ქალაქში; მას თან ახლდა რაზმი, შემდგარი 30 ცხენოსანისაგან ყოველი, ექსპედიციაში მონაწილეობის მიმღებ სახელმწიფოს მხრივ. ამის შემდეგ მოჰხდა სამხედრო რჩევა, რომელზედაც გარდასწყვიტეს ქალაქი გაჰყონ ოთხ ნაწილად. თითო ნაწილი ცალკ-ცალკე დაცულ იქმნება ექსპედიციაში მონაწილე ოთხი ეროვნების ჯარის კაცებისაგან მაიორ ეინიკენის საერთო უფროსობით. ხაზინაში იპოვეს 74,000 ტაელი, რომელნიც აიღეს მოკავშირეებმა. ფრანგების რაზმი, წამოსული ტიანძინიდან, ხუთი დღით შეერთებულ ჯარებზედ ადრე მოვიდა. გენერალი ვოიკო გაგზავნილი აყო ამ რაზმთან იმ განკარგულებით, რომ შეეყენებინა იგი დ შეეცდევინებინა დანარჩენი ჯარებისთვის; მაგრამ მაინც ვერ მოსწეოდა მას. ტიანძინის რაზმის ცხენოსანი ჯარი დღეს მოვიდა, დანარჩენი ნაწილი კი რაზმისა ცუდ გზას შეუფერხებია და მხოლოდ დღეს მოვა.

დრ. რედ. **ალ. ჯაბადარი**

---

## გამოსადეგი ცნობანი

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლების

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურ გის საათი, ფრჩხილებში კი ტფილისის)

**სწრაფი მატარებელი № 2 ტფილისიდან ბაქოში** გადის კვირაში ერთხელ ოთხშაბათობით დილის 7 ს. 56 მ. (8 ს. 54 წ.), ბაქოში ჩადის საღამოს 9 ს. (9 ს. 58 მ.).

**სწრაფი მატარებელი № 1 ბაქოდან ტფილისში** გადის დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.), ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 12 წ. (9 ს. 10 წ.).

**საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში** გადის ღამის 11 ს. 15 წ. (12 ს. 13 წ.), ტფილისში ჩამოდის ნაშუადღევის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.)

**იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში** გადის საღამოს 6 ს. 30 წ. (7 ს. 28 წ.), ბათუმში ჩადის დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

**მგზავრთა მატარებელი № 5 ბაქოდან ტფილისში** გადის ნაშუადღევის 3 ს. 5 წ. (4 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილით 8 ს. 23 წ. (9 ს. 21 წ.).

**იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში** გადის დილის 9 ს. 3 წ. (10 ს. 1 წ.), ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.).

**მგზავრთა მატარებელი № 6 ბათუმიდან ტფილისში** გადის დილის 8 ს. 56 წ. (9 ს. 54 წ.), ტფილისში ჩადის საღამოს 8 ს. 42 წ. (9 ს. 40 წ.).

**იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქოში** გადის საღამოს 9 ს. 22 წ. (10 ს. 20 წ.), ბაქოში ჩადის შუადღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

**საფოსტო მატარებელი № 4 ბათუმიდან ტფილისში** მიდის საღამოს 10 ს. 47 წ. (11 ს. 45 წ.), ტფილისში ჩადის დილის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

**იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქოში** გადის შუადღის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დილის 7 საათზე (7 ს. 58 წ.).

---


## განცხადებანი

ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის და გიორგიევის ქუჩის კუთხეში, იყიდება შემდეგი ქართული წიგნები:

ისტორია, გეოგრაფია და მოგზაურობა

ალხაზიშვილი ილ. ბუნება და ცხოვრება. 60 კ.
ალნიაშვილი ვლ. სპარსეთი და იქაური ქართველები. 1 მ.
ბაქრაძე დ. ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებზე და ქართველის ტომის დასაწყისზე. 15 კ.
გოგებაშვილი ი. ასპინძის ომი 10 კ.
— თავდადებულნი ქართველნი, სურათებით. 10 კ.
ვახუშტი ბატნიშვილი. გეოგრაფია I წ. სამცხე 25 კ.
— იგ. II წ. ქართლი 25 კ.
ვოდოვოზოვი ე. ინგლისელები. 40 კ
— იტალიელები. 30 კ.
— გერმანელები. 30 კ.
თაყაიშვილი ე. სამი ისტორიული ქრონიკა. 1 მ.
იოსელიანი პ. ცხოვრება მეფე გიორგი XIII და საქართველოს რუსეთთან შეერთება. 1 მ.
კუდრიავსკი დ. როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები მველად. 25 კ.
ჟორდანია თ. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. 3 მ.
— იგივე წიგნი II. 3 მ.
ურბნელი ნ. მეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალისა. 25 კ.
— გიორგი ბრწყინვალე. 20 კ.
ქართლის ცხოვრება დასაბამიდან მეცხრამეტე საუკუნემდის. წიგნი პირველი. 40 კ.
— იგ. წიგნი მეორე. 1 მ.
— იგ. „ მესამე. 40 კ.
ჰიჰინაძე ზ. მეფე ერეკლეს და ადამამადხანის ომი. 10 კ.
— მეფე ირაკლის გმირები. 15 კ.
ხახანაშვილი ალ. ბატონ-ყმობა საქართველოში. 50 კ.
— გუჯრები. 50 კ.

—

ბენაშვილი ან. მოკლე ქართული გრამატიკა, უდით. 25 კ.
ყიფიანი დ. ახალი ქართული გრამატიკა. 1 მ. 20 კ.

—

ორბელიანი საბა-სულხან. ქართული ლექსიკონი. 3 მან.
სახოკია თ. რუსულ-ქართული ლექსიკონი. 20 კ.

—

ყიფიანი ვ. ალგებრა. 1 მ. 20 კ.
ჯაჯანაშვილი რ. კრებული არითმეტიკულის ამოცანებისა 25 კ.

სამეცნიერო წიგნები.

ბ. ს. შრომა და კაპიტალი. 20 კ.
გოლოვინი ს. დარიგება მხედველობის დაცვასა და თვალების მოვლაზე. 10 კ.
გოგებაშვილი ი. მოსავლის მცველნი, სურათებით. 20 კ.
დედამიწის მოყვანილობა—10 კ.
ერისთავი დ. ხოლერა და მისი ასაცდენი დარიგებანი. 10 კ.
იოსელიანი გ. ლოღიკა. 15 კ.
ივანოვი ალ. ცა და დედამიწა. 20 კ.
ლენტის მსგავსი ჭიები 5 კ.
კომბი. ბავშვების მოვლა 40 კ.
მირიანაშვილი ალ. ჭაერი და მისი მნიშვნელობა. 15 კ.
მოწამვის ჭიგიენა 3 კ.
მასსე. ლუკმა პურის ამბავი 60 კ.
რუბაკინი. ამბავი ცხოველთა სამეფოსი, სურათებით. 50 კ.
როსკო. პროფესორი. ქიმია 40 კ.
როგორ საზრდობს მცენარე, გადმოკეთებული. 25 კ.
სპერნანსკი. ცუდი სენი, ანუ ათაშანგი. 5 კ.
ხუსკივაძე თ. შვილების აღზრდა, პედაგოგიური წერილები. 20 კ.

—

დარეჯანაშვილი არ. საზოსტნე მცენარეების მოყვანა. 20 კ.
ჯორჯაძე ლ. მევენახეობა და ღვინის დაყენება. 60 კ.

სახელმძღვანელო წიგნები:

ალნიაშვილი ვლ. «ბანი», ხალხური ლექსები. 10 კ.
— «განი», წვრილი ამბები. 10 კ.
— «დონი», წვრილი ამბები. 10 კ.
— «ვინი», პაწაწა მინერალოგია 15 კ.
— «ზენი», პაწაწა ბოტანიკა. 20
— «თანი», პაწაწა ზოოლოგია. 20 კ.


გამომც. გ. გუნია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 Октября 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.